

ტოპიოლარი სხულიდან გადის უნვრთნელი ფსიქო საფახბურთო უკულტურობაა!

გუშინ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ფარე-რების დედაქალაქ ტორსჰავენში ივარჯიშა და მერე კლაუს ტოპიოლერმა გუნდს კრებაც ჩაუტარა — ქართველთა გერმანელმა თავმა ფეხბურთელები ტაქტიკურადაც დამოძღვრა და მათთან ფსიქოლოგიურადაც წაიმუშავა — საქართველო ფარეებთან ფავორიტად მიიჩნევა და ჰერ კლაუსი გუნდის მენტალურ მდგრადობაზეც ზრუნავს.

დღეს კი, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს ნაკრები ტორსჰავენიდან აიბარება და ტოფტირის სტადიონზე ივარჯიშებს, სადაც გაიმართება კიდევ ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის ხვალინდელი, პირველი მატჩი.

ნოინანტები და დოინანტები უფას პოდიუმაზე

გუშინ უფამ დასახელა იმ 12 ფეხბურთელის ვინაობა, რომელთაც წინა სეზონის საუკეთესოებს საგანგებო კომისია 24 აგვისტოს გამოავლენს.

დავიღლოების ცერემონიალი გაიმართება მონაკოში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შემდეგ. კომისიაში კი შედიან 2005-06 წლების ჩემპიონთა ლიგის 16 მერვედფინალისტი გუნდის მწვრთნელები და უფას ტექნიკური კომიტეტის წევრები.

აი, უფას 12 ნომინანტიც:

საუკეთესო მებარე — ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი, იტალია), გრეგორი კუპე (ლიონი, საფრანგეთი), იენს ლემანი (არსენალი, ინგლისი);

საუკეთესო მცველი — ფაბიო კანავარო (იუვენტუსი, იტალია), კარლეს პუიოლი (ბარსელონა, ესპანეთი), ემანუელ ებუ (არსენალი, ინგლისი);

საუკეთესო ნახევარმცველი — დეკუ სოუზა (ბარსელონა, ესპანეთი), ჟუნიიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), ზუან რომან რიკელმე (ვილარეალი, ესპანეთი);

საუკეთესო თავდასხმელი — სამუელ ეტოო (ბარსელონა, ესპანეთი), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი).

უფა ასევე დაასახლებს წლის უძვირფასეს ფეხბურთელსაც.



მუნიციპალიტეტის ფოტო

ჯინი პალასი ბოტლში არ ჩადის რეჯინაც ყელაოდე ფეკალროპოლშია



თქვენ გეგონათ, იტალიურ ფეხბურთში ქარიშხალი ჩადგა, ნისლი გაიფანტა და პორიზონტი გამოჩნდა? არ ყოფილა ასე: მართალია, „იუვენტუსის“, „ლაციოს“, „ფორენტინას“ და მილანის“ დასვამ სერია A-ს და სერია B-ს უჩვეულო, მაგრამ დაწყობილი სახე მისცა, ახალი სეზონის დაწყების თარიღად კი თითქოს 9-10 სექტემბრის შაბათ-კვირაც დაითქვა, მაგრამ გუშინ განახლებულმა კალჩოპოლის სასამართლომ ახალი ტალღა ააგორა: ბრალმდებელმა სტეფანო პალაციმ 2004-05 წლების სეზონის სამ თამაშში მისდამი კეთილგანწყობილი მსაჯების მოზიდვის მცდელობისთვის „რეჯინას“ სერია B-ში გაგდება და მიწის 15 ქულით დასჯა მოითხოვა.


წუხელ პალაცი სერია B-ს „არეცოსაც“ დაემუქრა, ამ კლუბს შარშანდელი ცოდვებისთვის სერია C-ში ჩაქვეითება ეკუთვნის...

რეპოლუსიებს პატრონი მოუკვდა სამყაროს დიდკალი ფულის კალა ცვლის: ბეისბოლზე გაზრდილმა იანკიმ ასტონ ვილა იყიდა



მსოფლიო ძალიან პატარავდება — შესაძლოა, ვინმემ ასეც დაასკენას, როდესაც შეიტყობს, რომ კიდევ ერთმა ამერიკელმა მილიარდერმა ჩასჭიდა თავისი ღონიერი ხელი ევროპულ ფეხბურთს. თან ევროპაც არის და ევროპაც: „ასტონ ვილა“, არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისის შვიდგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდი გახლავთ, რომელსაც ოკეანისგალმელი რენდი ლერნერი ყიდულობს. ბირმინგემელებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაგალითის მიბაძვენ და ამერიკელ პატრონს ჩაბარდებიან — შევახსენებთ, რომ „მანჩესტერის“ პატრონი მილიარდერი მალკოლმ გლეიზერია.

ამრიგად, პრემიერლიგას გლეიზერის და რომან აბრამოვიჩის კვალდაკვალ კიდევ ერთი უცხოტომელი ეუფლება.



ფაქსი ფაქსიილავდა სანიიქი ესტუდიანბასს შეუთანხმდა

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე შხარდი კალათბურთელი, პორტუგალიაში ახლახან გასრულებული ახალგაზრდული ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის საუკეთესო მოთამაშე ვიქტორ სანიიქე კარიერას ესპანეთში გააგრძელებს მას აქამდე ჰქონდა ბობოლა კლუბების შეთავაზებები, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თავამოჩენის შემდეგ, რომ იტყვიან, რიგი დაუღვა იტალიური „რომა“, თურქული „ფეისი“, ესპანური „ესტუდიანტესი“ — ესაა იმ გრანდების არასრული სია, რომლებმაც სანიიქის შემატება ისურვეს ვიქტორი ხშირად ამბობდა, ესპანეთში მსურს თამაში და ჰა, ბურთი და ჰა, პრემიერლიგა. სანიიქის ავანტაჟი რიდ სალივანმა ყველა პირობა შეთანხმა ესპანურ „ესტუდიანტესთან“ და საქმის განარხვას კონტრაქტზე ხელის მოწერადა აკლია, რაც, როგორც თავად კალათბურთელი ამბობს, დროის ამბავია. სანიიქე ახლა ეროვნულ გუნდში ვარჯიშობს და საკვალიფიკაციო მატჩების დასრულების შემდეგ პირდაპირ ესპანეთს მაშურებს. 20 წლის ვიქტორ სანიიქე პირველი ქართველი იქნება, რომელიც ესპანეთის პრემიერლიგაში დაატარებს.

ვინ გააჩერებს? ვიხილ აზვითა გუცვბი ბაიძრო და ველარ ჩაიცვა

„ცოტა არ იყოს, უკვე ვერ ვიხილავთ არა, გოლი არ გამოიტანია. არადა, ყველა მატჩში სამი-ოთხი ნაღდი მომენტი მექნება ხოლმე. ჩემ დარტყმულზე მეტოქის კარი თითქოს მოჯადოებულია“ — ეს სიტყვები მიხეილ აშვეთიამ „სარბიელს“ ბელარუსულ ბატესთან საუფასასო მატჩამდე ორი დღით ადრე უთხრა.

„მეველა! ნავსი გავეტეხე და აწი ვინ გამაჩერებს?“ — ეს კი რუსული „რუბინის“ ქართველმა ფორვარდმა გუშინ გვითხრა, როცა ყაზანში შევეხმიანეთ და ბატესთან გატანილი ორი გოლი მივულოცეთ.

თუმცა ჩვენი დარეკვის მიზანი მხოლოდ ეს არ ყოფილა — გუშინ-წინ „რუბინი“ პრემიერლიგის მორიგ ტურში ბერმის „ამკარს“ უგოლოდ გაეყარა და ამ მატჩში მიხოს არ უთამაშია. ბუნებრივია, გაგვიკვირდა, მაგრამ აი, თურმე რაში ყოფილა საქმე...

— ბატესთან მატჩის მერე გასახდელში რომ შევედი, ფეხი საშინლად მქონდა გასიებული. იქამდე ვერაფერს ვამჩნევდი, მაგრამ ბუცი რომ გავიძვერე, კინაღამ გავვიყდი... — სერიოზული ტრავმაა?
— არა, უკვე დამიციხრა. დღეს ვივარჯიშე კიდევ. „ამკართან“ თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ ფეხი ისე მქონდა, ბუცს ვერ ვიცვამდი და, ცხადია, ექიმებმა დასვენება მიჩრჩიეს.

— მომდევნო ტურში ითამაშებ?
— რა თქმა უნდა. სამიში აღარაფერია...
აბაზა ხალაზბარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გთავაზობთ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველო — საფრანგეთის მატჩის ბილეთების დაჯავშნას.
საქართველო — საფრანგეთის მატჩზე ხუთი კატეგორიის ბილეთები გაიყიდება: პირველი კატეგორია — 80 ლარი; მეორე — 50 ლარი; მესამე — 30 ლარი; მეოთხე — 15 ლარი; მეხუთე — 7 ლარი.
16 აგვისტოს საღამოს 9 საათიდან გადაიკეტება რესპუბლიკის მოედანი, სადაც გულშემატკივარს საშუალება ექნება, დიდ ეკრანზე ნახოს ფარერები — საქართველოს მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი. გულშემატკივრებს გამაგრებული სასმელებით კომპანია „ყაზბეგი“ და „კოკაკოლა“ მოემსახურებიან.
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ოსნების კუნძული ოლსენის ტოპიოლოგია: 16-ში ისიც დებიუტანტია



ხვალ ფარერები — საქართველოა. ჩვენი ეროვნული გუნდი მორიგ ევროშესარჩევ ეტაპს იწყებს. იწყებს ახალი, უცხოელი მწვრთნელით და ძველი ამბიციით. მეტოქე სუსტია, თუმცა არა იმდენად, ჩვენებმა თავი უკვე მოგებულად ჩაითვალონ.

მარტინ ოლსენი კი ფარერების ნაკრების მწვრთნელია, რომელსაც კლაუს ტომპიოლერის მსგავსად, ხვალ ოფიციალური სანაკრებო დებიუტი ექნება. ის რამდენიმე თვის წინ დანიშნეს ფარერების ნაკრების თავკაცად და შევირდებს პირველად სწორედ საქართველოსთან გამოცდის.

მარტინ ოლსენს ამას წინათაც დაევუკავშირდით, მაგრამ მაშინ მას 16 აგვისტოს მატჩისთვის შემადგენლობა გამოცხადებული არ ჰქონდა და კითხვებზეც ზოგადად გვიპასუხა. ახლა კი, თამაშამდე ორი დღით ადრე, ფარერელთა მწვრთნელმა უფრო კონკრეტულად გვითხრა...

— ძალიან რთული და მძიმე მატჩი გველის. საქართველო კარგი, ძლიერი გუნდია და ჩვენთან შეხვედრაში ალბათ სამი ქულა აქვს დაგეგმილი. თუმცა ეს შესარჩევი ეტაპის პირველი თამაშია და, ბუნებრივია, ფარერებსაც და საქართველოსაც შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა გაუჭირდებათ.

- რას ელით ამ მატჩისგან?
- ფეხბურთელების შემართების იმედი მაქვს და ძალიან მსურს, პირველ შეხვედრაში ქულა მაინც მოვიპოვოთ. ფარერების ნაკრები ბოლომდე იბრძოლებს, რაც შეუძლია, იმას ითამაშებს და ვნახოთ, თუ გაგვიმართლა, ვეგბ ხელცარიელები არ დაფრქვით. მაგრამ, ერთხელაც გეტყვით, ქულის აღებაც კი ძალიან გაგვიჭირდება.
- მოგებაზე არც ფიქრობთ?
- როგორ არ ფიქრობ, მაგრამ გუნდების შემადგენლობებს თვალს თუ გადავავლებთ, ფარერებს წარმატების მცირე შანსი აქვს. ამიტომაც ფრე ჩვენთვის ძალიან კარგ შედეგად ჩაითვლება.
- მეტოქეზე რას იტყვით, ინფორმაცია თუ გაქვთ?
- საქართველოს ნაკრებზე ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად

- არ ვუჩივით. დანია — საქართველოს მატჩის ფირი რამდენჯერმე ვნახე, ახლა კი საქართველოს თურქეთთან და საბერძნეთთან შეხვედრების ფირებიც მოვიპოვეთ და მეტოქის თამაში დეტალურად გავაჩრჩით. შეიძლება ითქვას, საქართველოს ნაკრები შესწავლილი გვაქვს.
- მერე და, რა ნაკლი დანიხვით მეტოქის თამაშში?
- ვერ გეტყვით, ეს ჩემი საიდუმლოა, რომელსაც იმედი მაქვს, მატჩისას ეფექტურად გამოვიყენებო.
- ქართველთაგან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევთ?
- რა აზრი აქვს ჩამოთვლას?! მაშინ თერთმეტივე ფეხბურთელის გვარი უნდა გითხრათ. საქართველოს ნაკრები საკმაოდ ძლიერი და ცნობილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. „მილანი“, „შალკე“, „ბლეიხერნი“ — ამ გუნდებში სუსტი ფეხბურთელები ვერ ითამაშებენ. ქართველები კი სახელოვან ევროპულ კლუბებს წარმოადგენენ და მათ ნებისმიერ მეტოქესთან ტოლ-სწორად თამაში შეუძლიათ.
- ფარერების ნაკრები საქარ-

- თველოს უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდება?
- სამწუხაროდ, არა. იდეალურ შემადგენლობას ვერ ვათამაშებ, რადგანაც ძირითადის ერთაშად ოთხი ფეხბურთელი ტრავმირებულია. ისინი ჩვენი გუნდისთვის საკმაოდ ფასეული ფეხბურთელები არიან, მათ გარეშე კი დამატებითი პრობლემები შეგვექმნება.
- ამ ტრავმირებულების სრულფასოვანი შემცვლელი არ გვაქვთ?
- ფარერებზე მაღალი დონის ფეხბურთელების დიდი არჩევანი არ არის და დამავებული ფეხბურთელების ნაცვლად ახალგაზრდები გამოვიძახებ. მათ სანაკრებო გამოცდილება არ აქვთ, ორი ფეხბურთელისთვის კი საქართველოსთან მატჩი სადებიუტო იქნება.
- 16 აგვისტოს თქვენთვისაც ხომ პირველი ოფიციალური მატჩია?
- დიახ, ჩემი ხელმძღვანელობით ფარერების ნაკრები პირველ ოფიციალურ მატჩს სწორედ საქართველოსთან ითამაშებს და ძალიან მსურს, დებიუტი წარმატებული გამომივიღეს.


კობა ინასარიძე



დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების 1/16 ფინალში, თბილისის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „ნორჩი ღინამოლის“ პირველ მატჩში, მსაჯმა შოთა ქუხილავამ დამკვირვებელ სერგო კუტივაძისგან მიიღო დაბალი შეფასება — 6,6 ქულა (ათბალანის სისტემით).
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ქუხილავას მიეცა მეთოდური მითითებები.
ამავე გუნდების საპასუხო შეხვედრას ქუხილავას ნაცვლად ეროვნული კატეგორიის არბიტრი დავით სანაია მოემსახურება.
სფფ-ის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი
განაწევრების მსარგებლო საჩუქარდღაგოდ!
2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწვევიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის“ ფილიალებში.
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

გაგრა II ბუნდესლიგა I ტური აზვსპარბი 0:2 კიოლენი	საზვანაგაო II დივიზიონი IV ტური აბიონი 2:2 კაბონი
ნაგაო გამგრაინუსლიგა III ტური პრემიერბი 1:0 კლადონი	უგვადი სუპერბატა XIX ტური ნორჩიონი 3:3 ლანდსბარონა ტრილავორბი 2:0 ასირისაბა



RO MONEY MONEY MONEY



უსსსო აბრაშოვიჩის ზნე, სული და ფული ინგლისში

ღაიშობა და დაიქოქა... „ლიდს იუნაიტედმა“ „ჩელსისთან“ ახალი ომი წამოიწყო, ამჯერად 10 წლის ბავშვის გამო. და ძველი ომები ხომ გახსოვთ? „ელანდ როუდის“ ბინადართ 16 წლის მაიკლ ეუდსისა და ტომ ტაივოს გამო პქონდათ ერთი ამბავი ატეხილი. ეს ორი ბიჭი „ლიდსის“ საყმაწვილო აკადემიის კურსდამთავრებული გახლდათ, მაგრამ სტემფორდბრიჯელებმა მომენტი უხელთეს და ისე გადაიბირეს, რომ მათ სანაცვლოდ პროფესიონალი ფეხბურთელის შესაფერისი თანხა კი არ გადაუხდიათ, წაიყვანეს როგორც ბავშვები და თავად გაუფორმეს პირველი პროფესიული კონტრაქტი. და აი, ახლა საკვირაო გაზეთმა News of the World ახალი ამბავი ამოქექა — 10 წლის ლივ კოილის მამა კრისი ამბობს, რომ მისი შვილის გადატყუებას ისევ და ისევ ის წყევული „ჩელსი“ ცდილობს. ვინ უდგას ამ ცულ საქმეს სათავეში? ვინ და „ლიდს იუნაიტედის“ ყოფილი თანამშრომელი, ახლა უკვე „ლოურჯი“ გერი უორსინგტონი. ეს ის კაცია, რომელიც ეუდსისა და ტაივოს საქმეზე უკვე დაკითხეს სპორტულმა „ორგანოებმა“ და რომელიც, თურმე ნუ იტყვიან და, კრის კოილს ბენზოგასამართ სადგურზე თუ პროფილაქტიკაში შეხვედრია სალაპარაკოდ.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბრალდებას „ჩელსი“ ცივად უარყოფს: „ამ სიტყვებში მართალი არაფერია — განაცხადა „ლოურჯების“ პრესცენტრმა — გერი უორსინგტონი დასახელებულ მამას არ შეხვედრია და „ჩელსი“ „ლიდსის“ ახალი ფეხბურთელებითაც არ განლავეთ დაინტერესებული. რაც შეეხება მაიკლ ეუდსისა და ტომ ტაივოს „ლიდსიდან“ „ჩელსიში“ გადაყვანით გამოწვეულ დაპირისპირებას, ეს სულ სხვა საკითხია“.

ზონდი

„ლიდსის“ თავმჯდომარე კენ ბეიტსი მაიკლ ეუდსისა და ტომ ტაივოს გატაცებამ თუ გატყუებამ ისე გააცოფა, რომ მზად არის, „ჩელსის“ წინააღმდეგ ყველა მიზეზით იომოს, მათ შორის 10 წლის მოსწავლის გამოც. „ლიდსის“ პრესცენტრმა ჟურნალისტებს არ დაუმალა ის ამბავი, რომ კლუბი საკუთარი ძალებით იწყებს ამ საქმის ჩხრეკა-შემოწმებას, მოკლედ, ზონდს გაუშვებს და ნახავს, რა გამოვა.

„უკიდურესად შეწუხებული გახლავართ ჩვენი აკადემიის ერთ-ერთი მოსწავლის ბედით. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, ჩვენს წინააღმდეგ ამჯერადაც იგივე გუნდი მოქმედებს, ოღონდ ახლა საქმე სხვა ფეხბურთელებს ეხება. ამა-სთან დაკავშირებით ვიწყებთ გამოძიებას და როგორც კი ის დამთავრდება, ადეკვატურ ზომებს მივმართავთ“.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ფეხბურთში ბავშვების „გატაცებასთან“ დაკავშირებული წეს-კანონი მეტიმეტად მარტივი და მკაფიოა — ყველას, ვისაც პატარა ფეხბურთელის გატყუებაში გამოიჭერენ, ფინანსურადაც მაგრად დასჯიან და შეიძლება, ჩემპიონატში ქულებიც კი დააკლონ. სწორედ ამისთვის არის მოგონებული 89-ე კანონი, სადაც ნათქვამია, რომ თუ ბავშვი ამა თუ იმ კლუბს სტუდენტად ჰყავს დარეგისტრირებული, მასთან, გინდ კლუბი იყავი და გინდ კერძო პიროვნება, არც პირდაპირი და არც ირიბი „მიკარება“ არ შეიძლება.

არის კიდევ კანონი ნომერი 86, სადაც იგივე წერია, ოღონდ მარტო კლუბების გასაგონად და კანონი 39, რომელიც ცხადად ამბობს, რომ 9-დან 12 წლამდე ბავშვები სკოლიდან ერთი საათის სავალზე შორს არ უნდა ცხოვრობდნენ. დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ გადმოიღონ ინგლისის რუკა და ლიდსისა და ლონდონს შორის მანძილი შეამოწმონ, თუმცა არა, რატომ უნდა გაწვალთ, როდესაც თავად ბავშვის მამა კრის კოილი ამბობს, რომ მისი სახლიდან ანუ ქალაქ ჰალიდან ლონდონამდე მგზავრობას საათნახევარი უნდა.

უფროსმა კოილმა ამის გარდა სხვაც თქვა: ჩელსელებმა ლონდონში ერთი კვირით ჩასვლისა და გასინჯვის სანაცვლოდ 10 ათასი გირვანქა და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურება შემოთავაზესო. მამა მიმხვდარა, რომ თუ მის ბიჭს მოიწონებდნენ, მის ჯიბეში სხვა ფულიც წამოვიდოდა — იქნებ ვინმემ არ იცოდეს, რომ ერთი გირვანქა სტერლინგი 1,89 ამერიკული დოლარი ან 1,48 ევროა.

კრის კოილი: „გერი უორსინგტონმა დაახლოებით ორი კვირის წინ დამირეკა და შეხვედრა მოხოვა. დაეთანხმედი M162-ზე (საავტომობილო გზატკეცილის ნომერია) მდებარე სერვის ცენტრ „ჰართსჰედ მურში“ შეხვედი. ეს ადგილი „ლიდსის“ საფეხბურთო აკადემიისგან შორს არ არის. სწორედ იქ მკითხა ვერემ, თუ ვიყავი მზად ბავშვი „ჩელსიში“ რომ მიმეყვანა. მან მითხრა, რომ ლონდონში ლივს თავის შესაფერ ადგილს მოუნახავდა და მეც შესაფერისად მომაცილებდა. გასაგები იყო, რასაც მეუბნებოდა. რომ დაეთანხმებულყავი, საცხოვრებლით და ფინანსებით უზრუნველყოფილი ვიქნებოდით, თუმცა უპირველეს ყოვლისა მას უნდოდა, რომ ბავშვი „ჩელსის“ მწვრთნელებს შეემოწმებინათ, რასაც ერთი კვირა დასჭირდებოდა და მე ამ ერთ კვირაში ათი ათასს მომცემდნენ“.


გამოძიება

ახლა უორსინგტონზე მოგახსენებთ — „ლიდსიდან“ „ჩელსიში“ რომ გადადიოდა, პირობა დადო, რომ ხუთი წლის განმავლობაში ძველი კლუბის აკადემიის ბავშვებს არ შეეხებოდა, მაგრამ, ჩანს ეგ გერი მთლად პირობის კაცი ვერ უნდა იყოს. აკი მოგახსენებთ, რომ ეუდსისა და ტაივოს ისტორიაში მისი როლი შესასწავლი გახდა და ამ საქმეს, არც მეტი, არც ნაკლები, ფეხბურთის ასოციაცია ჩაუჯდა. სხვა საქმეა, რომ „ჩელსი“ ინტიმარს არ იტყვს, რა კოილი, რის კოილიო.

43 წლის კოილი მამა კი ამბობს, რომ ოჯახის წინააღმდეგ წასვლა დანაშაულია.

„ლონდონში ვერ გადამიტყუებენ. ჩემი შვილი „ლიდსისთვის“ იცხოვრებს და მოკვდება. მე ის ბედნიერ კაცად მჭირდება. ცხადია, ბოლოს და ბოლოს სად წავა და რას გააკეთებს, მისი გადასაწყვეტი იქნება, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთზე წინ ოჯახია და ლივს „ლიდსის“ სკოლაში სიაბოვნებს ვარჯიში. მე ის სახლიდან კვირაში ორჯერ ჩამყავს აქაურ აკადემიაში, რაც მას ახარებს. მე ჩემი შვილისთვის ფულიანი ადგილის შოვნა კი არ მინდა...“

ჰოდა, ჩვენ წერილის ბოლოს რაღა დავამატოთ, არ უნდა და მორჩა!



ჩელსი ყვალაფარზა მიდის ლიდსი არაფარზა უკან არ იხევის

გააჟნა კედი

ბაქცავის მცდელობა ინტერიდან

„ინტერის“ ნიგერიელი ფორვარდი ობაფემი მარტინსი გუნდიდან გასაქცევად მზადაა, რადგან „შავ-ლურჯებმა“ ორი თავდამსხმელი — ერანან კრესპო და ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყიდეს. ეს ნიშნავს, რომ, შესაძლოა, ნიგერიელი სათადარიგოთა სკამს გაუმინაურდეს.

მარტინსს წასვლა უნდა, თუმცა „ინტერის“ პატრონი მასიმო მორათი აცხადებს, რომ მეგობრის გაყიდვას არ აპირებს. ამბობენ, ობაფემი მარტინსს ინგლისის პრემიერლიგის რამდენიმე გუნდი („ტოტენჰემი“, „ლივერპული“, „პორტსმუთი“ და „ნიუკასლი“) ეპატიჟება. ნიუკასლელთა მწვრთნელმა გლენ რიოდერმა ამას წინათ ბრძანა, ძალიან მინდა, მარტინსის ყიდვა.

„იოლი არ იქნება მისი შექენა, მაგრამ ვაღიარებ, რომ ეს ფორვარდი მომწონს და სიამოვნებით ვიზილავდი ჩემს გუნდში. „ნიუკასლი“ უახლოეს 2 კვირაში 2-3 ფეხბურთელის დამატებას აპირებს და ვიმედოვნებ, რომ მათგან ერთ-ერთი მარტინსი იქნება“ — გაამხილა რიოდერმა.

ამ რია-რიაშია ჩართული „პორტსმუთი“ და, ინგლისურ მედიას თუ ვენდობით, მილანში მოსალაპარაკებლად ხალხი უკვე გაუგზავნიათ. პორტსმუთელები 9 მილიონ 500 ათას გირვანქას იხდიან ნიგერიელში.

ობაფემი მარტინსის შექენა „ვალენსიასაც“ სდომება, რომელიც 8 მილიონ 500 ათასს გამოდის და ექვსწლიან კონტრაქტს სთავაზობს ფორვარდს. აღბათ, უახლოეს დღეებში გაირკვევა, დარჩება თუ არა ნიგერიელი „ინტერში“.

ირაკლი ნინიძე



ობაფემი მარტინსი „ინტერიდან“ ყირაშალაც ვარბის



სტეფანო პალაცი

სასამართლო ჯინაზე და რეჯინაზე მიწუს 15 და B

სახელმწიფო ბრალმძებელმა „რეჯინას“ დასჯა ასე ითხოვა: სერია B-ში გაგდება და ახალი ჩემპიონატის მიწუს 15 ქულით დაწყება — კალჩოპოლის სკანდალის მეორე ნაწილი გრავინვითა და ქუხილით დაიწყო.

რამი სდებს ბრალმძებელი სტეფანო პალაცი რეჯო-კალაბრიელებს? 2004-05 წლების სეზონში „ატილანტასთან“, „სამპდორიასთან“ და „პალერმოსთან“ უპატიონო თამაშში. არა, აქ გუნდებს შორის რამენაირი გარიგებაზე არ არის საუბარი, აქ მსაჯის დახმარება იგულისხმება.

სტეფანო პალაცი: „იტალიის ფეხბურთის ფედერაციისთვის ნათელია, რომ „რეჯინა“ ცხრილში პოზიციის გაუმჯობესებას, მეტოქეებთან ძალთა რეალური თანაფარდობის დარღვევით ცდილობდა. სისტემა, რომელსაც ის იყენებდა გამოკვლეულია და მისი არსებობა დამტკიცებული. ყოველი კონკრეტული მატჩის წინ კლუბის წარმომადგენლები მსაჯებს უკავშირდებოდნენ“.


მოგეხსენებათ, ის, რომ ყოველი კონკრეტული თამაშის წინ ვიღაცა ვიღაცას უკავშირდებოდა, სატელეფონო საუბრების მოსმენით და ჩაწერით არის დასაბუთებული. კერძოდ, საუბარია „რეჯინას“ პრეზიდენტის ლილო ფოტისა და მსაჯთა თამაშებზე გამანაწილებლის პაოლო ბერგამოს კავშირზე. ამ საუბრებში ფოტი ბერგამოს „რეჯინას“ მატჩებზე მისთვის სასურველი მსაჯების გაგზავნას თხოვს. ამიტომაც მოითხოვა სინიორ ბრალმძებელმა პირადად ლილო ფოტისთვის ფეხბურთიდან ხუთწლიანი მოკვეთა, ხოლო მსაჯებს, პაოლო ღონდარინისა და ტიციანო პიერის ექვსთვიან დისკვალიფიკაციას უმზადებენ.

ღონდარინი: „ჩემთვის რაიმე მსაჯთა გამანაწილებელს ან, თუ გინდა, სხვა თანამდებობის პირს არასოდეს დაუძალეობია. მთელი კარიერა ასე განველე და პრინციპებისთვის არასდროს მილაღატია“.

პიერი: „გამანაწილებელს პროფესიულ ანგარიშს ვაბარებდი და სულ ეს იყო. არც ბერგამოს და არც სხვა ვინმეს ჩემთვის არასდროს არაფერი დაუძალეობია. ამჯერად კი, როგორც საერთაშორისო მსაჯი, გულით, სულით და სხეულით შოტლანდიისა და საფრანგეთის 21 წლამდელთა შეხვედრისთვის ვარ მზად“.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ „რეჯინას“ გუშინდელ სხდომაზე რამდენიმე თხოვნა არ შეუსრულა. მაგალითად, რეჯოკალაბრიელებს მოწმედ მსაჯის, პაოლო ბერტინის გამოძახება უნდოდათ, მაგრამ ტრიბუნალმა მისი მოსმენა არ ინება. ბერტინი „რეჯინას“ და „ატილანტას“ შეხვედრას უძღვებოდა. ერთადერთი, რაზეც ტრიბუნალი დათანხმდა, ზემოთ ჩამოთვლილი თამაშების ჩანაწერთა ნახვა იყო.

აკაკუნა კილია



ლილო ფოტი

პაოლო ბერტინი

პაოლო ღონდარინი

პაოლო ბერგამო



გაზაზა



ახალი ინგლისური ყოფა ბრიტანელები ტრადიციებით ვაჭრობენ. ასტონ ვილა ამერიკელმა ჩაიჭიბა ეს აღარაა შეუჩაქსოფა

პრემიერლიგის გაჭირვებულმა გუნდმა „ასტონ ვილა“ გუშინ გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაგალითის მიხედვით და ამერიკელ მილიარდელს მიეყიდოს. ფასი — 118,3 მილიონი დოლარი; მილიარდელის სახელი — რენდი ლერნერი.

ვინ არის მისტერ ლერნერი? ეს გახლავთ ვაჭი აწვარდაცვლილი ალ ლერნერისა, რომელმაც თავის დროზე საკრედიტო ბარათების კომპანია MBNA შექმნა. 44 წლის რენდი ლერნერის სიმდიდრე 1,2 მილიარდი ყოფილა.

ბირმინგემულმა კლუბმა კი ლონდონის საფონდო ბირჟას უკვე აცნობა, რომ მისი მეწილენი თანახმანი არიან მათი საკუთრება მივიდონ Reform Acquisitions Ltd-ს ერთ აქციაში 547, პენსის საფასურად. აღსანიშნავია, რომ ამ Reform

Acquisitions Ltd-ს პატრონი რენდი ლერნერი გახლავთ მფლობელი ამერიკული ფეხბურთის კლუბისაც. ამ კლუბს „კლივლენდ ბრაუნზი“ ჰქვია.

გამოკვეყნდა „ასტონ ვილას“ და ზემოხსენებული ამერიკული კომპანიის ერთობლივი განცხადებაც, სადაც დამეგობრებული მხარეები ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გამოხატავენ სიხარულს ამ დამეგობრების გამო და საზოგადოებას აუწყებენ, რომ ისინი ფინანსურ საკითხებზე შეთანხმდნენ.

ასე და ამგვარად, „ვილა პარკიდან“ მდის 82 წლის ლუკ ელისი, ადამიანი, რომელიც „ასტონ ვილას“ პირველად 1968-1975 წლებში თავმჯდომარეობდა, ხოლო 1982 წლიდან უწყვეტად გახლდათ ამ თანამდებობაზე. ელისი და სხვა დირექტორები, რომლებიც ერთად კლუბის აქციათა 35,9 პროცენტს

ფლობდნენ, იძულებულნი შეიქნენ დაყაბულებულიყვნენ ამერიკელ ბიზნესმენს, უფრო სწორად კი ოთხი შესაძლო ვარიანტიდან სწორედ მასზე შეჩერებულიყვნენ. საკუთრივ ლერნერი კი აცხადებს, რომ მისი მიზანია „ვილას“ პრემიერლიგისა და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ქცევა.

ელისი: „მწამს, ეს გარდასახვა „ასტონ ვილას“ ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისი იქნება“.

შეგახსენებთ, რომ საუბარია ინგლისის შვიდგზის ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელზე, რომელიც ბოლო წლებში გასაჭირშია და ვერაფრით უტოლდება ისეთებს, როგორებიც გახლავან „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“ და „არსენალი“.

გაზაზა გელია



ხელისგულეები არ გვეფხანებენ ბენიტუსის და მაურინიუს შავხაბიანი ამბავი

რაფაელ ბენიტუსი ამბობს, რომ მასსა და ჟოზე მაურინიუს შორის შავ კატას არ გაურბენია და ეს სულ ტყუილი მითქმა-მოთქმაა. არადა, ფაქტია, რომ გუშინწინ, „ლივერპული“ — „ჩელსის“ თამაშის შემდეგ, მწვრთნელებმა ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვეს. „წითლებმა“ ლონდონელები 2:1 დაამარცხეს სუპერთასის მატჩში, რომელიც კარდიფში გაიმართა.

გასული გაზაფხულის ამბავია: ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ლივერპულმა“ — „ჩელსის“ მოუგო და იმ შეხვედრის ბოლოს ისე დამორიდნენ მწვრთნელები, ხელისგულები არ დააჯახეს. ინგლისელმა ჟურნალისტებმაც ამის შემდეგ დაიწყეს შავ კატაზე საუბარი.

გუშინწინდელი მატჩის მერე ბენიტუსმა განაცხადა: „მაურინიუ ასოციაციის თასის ნახევარფინალის შემდეგაც არ მოსულა ხელის ჩამოსართმევად და ამჯერადაც, ჩემს ზურგსუკან იდგა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს. მე „ლივერპულზე“ ვფიქრობდი, ბუნებრივია, ის თავის გუნდზე. ჩემთვის ეს პრობლემა არაა. ჟოზემ გაზაფხულზევე გადაწყვიტა, რომ ხელი არ ჩამომართვას. თუმც ამაზე არ ვდარდობ, უფრო „ლივერპული“ და მომავალი სეზონი მადარდებს“.

ხოლო ჟოზე მაურინიუმ თქვა: „ბენიტუსს ხელის ჩამორთმევა თუ სურდა, საამისოდ ბევრი დრო ჰქონდა. ფეხბურთი 90 წუთი გრძელდება. თამაშის დამთავრებიდან „ლივერპულისთვის“ ჯილდოს გადაცემის ჩათვლით, მოედანზე ვიყავი და ნებისმიერ მომენტში შეეძლო მისვლა და ხელის ჩამორთმევა“.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულმა“, მას შემდეგ რაც რაფაელ ბენიტუსი წვრთნის, მესამედ დაამარცხა „ჩელსი“. ორივე გუნდი პრემიერლიგის ჩემპიონობის ფავორიტია.

გაზაზა ხუციშვილი



დაიჩიდა, თანახ რი



AFP ცინცინატიდან

ჩვეული, მაგრამ მაინც გულის ამატოკებელი ფოტო ამერიკული ბურთაობის ცინცინატის გრაუნდიდან. ვეფხვივით მებრძოლ ცინცინატელ ენტონი რაითს ორი ვაშინგტონელი მოწინააღმდეგე დაუკიდებია.

ლებრონი სამხედროში



AFP სეულუდან

იაპონიის მუნდიალისთვის ავარჯიშ-ასპარინგებული ამერიკის ნაკრები ახლა სამხრეთ კორეაშია. ბიჭებს, ბარემ, აშშ-ს ერთ სამხედრო ბაზაზეც შეუვლიათ და ავტოგრაფები გაუციათ. ეს ზანგი ახმახი ნბა-ელთა ლიდერთაგანი ლებრონი ჯეიმსი გახლავთ.



AFP პროვანსიდან

სინარული გუგუკაუი

სინარულიც ასეთი უნდა! შვედ მეგოლფე ანიკა სორენსტამს ერთი რამ ტურნირი მოუგია და თავი წყლისთვის მიუცია. ჩვენც შენთანო და, დედამაც და დაიკომაც ისკუპეს

ვერ მოიხელთა

საბეისბოლო სეზონი ხურს შტატებში. „დეტროიტ ტაიგერზის“ ნევერ კურტის გრანდერსონს ვერ დაუჭერია „ჩიკაგო ვაით სოქსის“ ჯო კრედოს დარტყმული ჩიკაგოს 7:3 მოუგია.



AFP მოსკოვიდან

რუსმა ბოტლს უყელა

რუსეთის განსაკუთრებული პოლიციის ოფიცერმა ხმალი უყელა წყლის ბოტლს. მოსკოვში ხდება ეს ამბავი სამხედრო ჟანრის ასპარეზობათა შიდა რუსულ ჩემპიონატში

სარბიელი

საორბული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳოცხვერია
ლიტერტორი ბიორბი ოქრომჭაღლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: პაპა სუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახვლედიანი,
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე

გიორგი კაკაბაძე, ლალი ზომერიკი
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი ბიორბი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ოთარ მძლავა კვლიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლილა ბეგლაროვა, ლია ბესელია,
ზათუნა ბუნუნიშვილი, ფატი დვალისხილი, მაგდა დოგრაშვილი,
რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ
წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, 11
პორკუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbliel@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbliel.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00